საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) გათბობის სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით
კომისიის სხდომის

ოქმი № 01

ქ. თბილისი „ 05“ „02“ 2014 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ ს. ლონდარიძე

თ. იაშვილი **ი. ჩიბიროვი** **გ. ასკურავა** **ი. ჭანტურიძე** **გ. ხაზარაძე**

საკონკურსო აპარატის კომისიის წევრი: ე. ხარაიშვილი

დღის წესრიგი:

საქართველოს ეროვნული არქივის (გათბობის სისტემის) საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) განხილვა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის გ. ასკურავას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ საკონკურსო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული საკონკურსო განცხადება და პირობები.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო პირობები მისაღებია.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” საქართველოს კანონის 10^2 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის” შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის” მე-5 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები დანართის სახით თან დაერთოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი.ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ხაზარაძე

სხდომის მდივანი - ე.ხარაიშვილი

საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) გათბობის სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით
კომისიის სხდომის (უ.კ. 1093)

ოქმი № 02

ქ. თბილისი „14“ „02“ 2014 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ ს. ლონდარიძე

თ. იაშვილი **ი. ჩიბიროვი** **გ. ასკურავა** **ი. ჭანტურიძე** **გ. ხაზარაძე**

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ე . ხარაიშვილი

დღის წესრიგი:

საქართველოს ეროვნული არქივის (გათბობის სისტემის) საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსში (უ.კ. 1093) პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ი.ჭანტურიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1) გათბობის სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსზე** 2014 წლის 14 თებერვლის 15:00 საათამდე წინადადება არ წარმოადგინა არც ერთმა პრეტენდენტმა, შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

დაადგინეს:

1. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1) გათბობის სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსი გამოცხადდეს არ შემდგარად.
2. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტით.
3. ხელახლა გამოცხადდეს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1) გათბობის სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსი.

სხდომის თავმჯდომარე	-	ს. ლონდარიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	-	თ. იაშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	-	გ. ასკურავა
საკონკურსო კომისიის წევრი	-	ი.ჭანტურიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	-	ი. ჩიბიროვი
საკონკურსო კომისიის წევრი	-	გ. ხაზარაძე
სხდომის მდივანი	-	ე.ხარაიშვილი